კულტურა

18-21 ნოემბერს საქართველოში დევიდ ლინჩის ვიზიტი იგეგმება

18:57 2017-09-14

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში დღეს კავკასიაში დევიდ ლინჩის ფონდის (DLFC) ხელმძღვანელს, გიგა აგლაძეს და მის გუნდს შეხვდა. პირველი სამუშაო შეხვედრის მთავარი თემა ეხებოდა ცნობილი ამერიკელი კონორეჟისორის, დევიდ ლინჩისვიზიტს საქართველოში, რომელიც 18-21 ნოემბერს იგეგმება.

„ეს არის საქართველოსთვის უდიდესი შესაძლებლობა, რომ ვუმასპინძლოთ მსოფლიოში ცნობილ რეჟისორს და ვისაუბროთ მის ფონდთან სამომავლო თანამშრომლობის ინიციატივებზე. მნიშვნელოვანია, რომ ფონდის პროგრამების ფარგლებში დაგეგმილია საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში საინტერესო საგანმანათლებლო და სოციალური პროექტის განხორციელება. დევიდ ლინჩის ფონდის კავკასიის ოფისის დაფუძნება თბილისში, რომლის ხელმძღვანელი გახლავთ ქართველი რეჟისორი და მუსიკოსი გიგა აგლაძე, საქართველოს როგორც კინოინდუსტრიის განვითარების ასევე, საგანმანათლებლო სფეროში ახალი პროექტების განხორციელების ისტორიულ შესაძლებლობებს აძლევს. მოხარული ვარ, რომ მე და ჩემს კოლეგებს მოგვეცემა საშუალება შევხვდეთ და ვუმასპინძლოთ ლეგენდარულ კინორეჟისორს და მასთან ერთად განვიხილოთ საქართველოს განათლების, კულტურისა და სოციალური მიმართულებებით უაღრესად მნიშვნელოვანი სამომავლო ინიციატივები“, - განაცხადა შეხვედრის შემდეგ მარიამ ჯაშმა.

როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ აღნიშნა, შეხვედრაზე ისაუბრეს ნოემბერში დევიდ ლინჩის ვიზიტის დაგეგმარების თაობაზე. მისი თქმით, საქმე ეხება მაღალი დონის შეხვედრების გამართვას, სადაც განიხილება რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. პირველი ინიციატივა ეხება დევის ლინჩის საერთაშორისო კინემატოგრაფიული უნივერსიტეტის გახსნას საქართველოში, რაც ჩვენს ქვეყანას მისცემს უნიკალურ საშუალებას, რომ თავად განავითაროს კინემატოგრაფიის კუთხით საგანმანათლებლო შესაძლებლობები და ამ კუთხით, რეგიონის მასშტაბით წარმოჩინდეს როგორც ლიდერი ქვეყანა. ასევე იგეგმება საერთაშორისო კინოფესტივალის პროექტთან დაკავშირებით დისკუსია, რომლის დეტალებსაც კომიტეტი აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის უწყებებთან ერთად განიხილავს. დაბოლოს საუბარია ფართომასშტაბიან სოციალურ პროექტზე - ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად დაზარალებული პირებისთვის სარეაბილიტაციო პროგრამებზე.

მარიამ ჯაშის განცხადებით, დევიდ ლინჩის ფონდის მიერ გაჟღერებული ყველა ინიციატივა თანხვედრაშია საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის მიერ გაცხადებულ პრიორიტეტებთან. აღნიშნული მოიცავს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციას, რომ ქვეყანა საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრად ჩამოყალიბდეს, მით უფრო ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებაში, როგორიც არის კინემატოგრაფია. საერთაშორისო მასშტაბის ფესტივალებისა და კულტურული ღონისძიებების მასპინძლობა საქართველოს კულტურული და ეკონომიკური განვითარების ასევე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. დაბოლოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიმდინარე საგზაო უსაფრთხოების კამპანია მნიშვნელოვან ბაზას ქმნის დევიდ ლინჩის ფონდის ინიციატივისათვის ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციისა და პოსტ-ტრავმული რეაბილიტაციის მიმართულებებით.

გიგა აგლაძის განცხადებით, უკვე გადაწყვეტილია, რომ დევიდ ლინჩი ნოემბერში გვესტუმრება და ფართო აუდიტორიასთან გამართავს შეხვედრებს, გაიმართება მისი ფილმების ჩვენებაც.

„ის პროექტები, რისი გაკეთებაც იგეგმება ქვეყნისთვის, არის ძალიან მნიშვნელოვანი, მათ შორის არის დევიდ ლინჩის სახელობის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის და ა-კლასის კინოფესტივალის დაარსება. ჩვენი ქვეყნისთვის უდავოდ მნიშვნელოვანია, კინემატოგრაფიის ენაზე რომ ვთქვათ, ასეთი ახლო ურთიერთობა ჰოლივუდთან და დიდ რეჟისორებთან, ვინაიდან დევიდ ლინჩის ფონდი 250 ცნობილ სახეს აერთიანებს, მათ შორისაა მარტინ სკორსეზე და ა.შ და ა.შ. ვფიქრობთ, რომ ყველაფერი იქნება ისე, როგორც ქვეყანას სჭირდება. ამ ფონდის გახსნით საქართველოში და კავკასიაში, ჩვენ არა თუ უკვე მივუახლოვდით ამ ადამიანებს, პირიქით საქართველოში ველოდებით მათ. სულ მალე საქართველოში ჰოლივუდის ყველა ის ვარსკვლავი ჩამოვა, რომელთა ნახვაც აქამდე მხოლოდ კინოეკრანზე შეგვეძლო“, - განაცხადა გიგა აგლაძემ.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ: ფონდის დამფუძნებელი კონსტანტინე ბათმანიდი, მრჩეველი კომუნიკაციის საკითხებში ნინა ცაგარელი და მრჩეველი მარიამ თოიძე.

კავკასიის ფონდი 2017 წლის 25 ივლისს დაარსდა და იგი საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს აერთიანებს. ფონდი რამდენიმე მიმართულებით იმუშავებს. გარდა უნივერსიტეტის დაარსებისა და კინოს ვარსკვლავებთან შეხვედრების ორგანიზებისა, ფონდის მიზანია TM (ტრანსცენდენტალური მედიტაციის) პროგრამის მეშვეობით ტრამვისა და ტოკსიკური სტრესის ქვეშ მყოფი ადამიანების ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, მათი ჯანმრთელობის, შემეცნებითი უნარების და შრომისუნარიანობის გაუმჯობესება, ასევე საზოგადოებაში მათი ინტეგრირება.

DAVID LYNCH'S VISIT IS PLANNED BETWEEN 18TH AND 20TH OF NOVEMBER

A chairman of the committee of Education, Science and Culture, Mariam Jashi had a meeting with the president of David Lynch Foundation Caucasus Giga Agaldze and his team. The first working meeting was related to the famous American film director, David Lynch's visit in Georgia, which is planned on 18-20th of November.

"It's a huge opportunity to Georgia to host the famous director and discuss with his foundation future initiatives. It's important that in the frame of the projects of the foundation many educational and social projects' implementation is planned in Georgia, Azerbaijan and Armenia. Establishing of David Lynch Foundation Caucasus in Tbilisi gives a historical opportunity to Georgia's film industry and educational spheres. The president of the foundation is a musician and director Giga Agladze. It's honor for me and for my colleagues to have such an opportunity to host a legendary film director and discuss with him important educational, social and cultural future initiatives of Georgia." - Stated Mariam Jashi after the meeting.

As the chairman of the committee stated, they discussed planning of David Lynch's visit in November. The case concerns important meetings, where several crucial issues will be discussed. The first initiative is related to the establishing of David Lynch international film University in Georgia, which gives to Georgia a unique chance to develop educational opportunities in the sphere of film and become a leading country in the scale of the region. Also, discussion about an international film festival is planned. The committee will discuss details of the project with government's highest offices. And finally, one of the initiatives of David Lynch Foundation is a broad rehabilitation social program for the victims of car accidents.

According to Marim Jashi's statement, all initiatives of David Lynch foundation are in agreement with the priorities of the parliament and government. These initiatives include internationalizing Georgia's highest educational system in the sphere of film in order to make Georgia an educational center. Being a host of International film festivals and cultural events is one of the most important issues for Georgia's cultural and economic development. Current road safety campaign of the Ministry of Internal Affairs creates a perfect base for David Lynch Foundation's project for the victims of car accidents.

Giga Agladze stated that decision of David Lynch's arrival in Georgia in November is already made. He will have meetings with public and his films will be screened.

"The projects which are planned to be implemented for the country are very important. The projects include establishing of David Lynch International film school and A-class film festival. It's very important for our country to have relationships with great directors and Hollywood because the foundation unites 250 famous people like Martin Scorsese etc. I think everything will be the way that country needs. With the establishing of this foundation we not only got closer to these people but we are expecting them here, in Georgia. Very soon Georgia will be visited by those stars whom we could only see on the screen" – said Giga Agladze

The meeting was also attended by the founder of the foundation Kostantine Batmanidi, advisor in communications Nina Tsagareli and advisor, Mariam Toidze.

Caucasus Foundation was established on the 25th of July in 2017 and it unites Georgia, Azerbaijan and Armenia. Besides establishing Film University and meetings with the stars, the foundation's goal is to help people with stress and post-traumatic stress disorder with Transcendental Meditation rehabilitation program. This program helps to improve health, cognitive skills, work efficiency and integration in society.